

გაუმჯობესებული სკოლების პროექტი

პროექტი გაუმჯობესებული სკოლა დაფინანსდა კომპანია "ბი-პი"-სა და მისი პარტნიორების - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიების მიერ. პროექტის მიზანი იყო ნავთობსადენის დერეფანში მოხვედრილ თემებში გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიური განვითარებისთვის ჰარმონიული და უსაფრთხო გარემოს შექმნა. პროექტი ითვალისწინებდა ახალციხის, წალკის და ბაკურიანის სკოლის ასაკის მოზარდთა მომზადებას რათა მათ უფრო აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ აღმავლობაში.

ქეას, „ბი-პი“-ს და მის პარტნიორებს სჯეროდათ, რომ არსებული საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება ახალციხის, ბაკურიანისა და წალკის 8 სკოლაში თემის ინტერესს წარმოადგენდა. დონორი მხარს უჭერდა „სამოდულო სკოლის“ კონცეფციას, რომელმაც გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს მომავლისთვის მოზარდთა განათლებაში ინვესტირება. „ბი-პი“-სა და მისი პარტნიორების მხარდაჭერით სკოლებში მოხდა ელექტროენერჯის ალტერნატიული წყაროს გამოყენება (მზის ენერჯის ბატარეები), კომპიუტერისა და ინტერნეტის სწავლება. „ბი-პი“ და მისი პარტნიორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოზარდებში ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც მათ ხელს შეუწყობს სათანადო წვლილი შეიტანონ საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაში და შეძლონ ჯანსაღი კონკურენციის გაწევა სამუშაო ბაზარზე.

გარემოსდაცვითი განათლების პროექტი იყო “გაუმჯობესებული სკოლის” პროექტის კომპონენტი, რომლის მიზანიც იყო აემალეზინა ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის ზონაში (5 კილომეტრიანი ზონა) არსებული საშუალო სკოლების მოსწავლეთა გარემოსდაცვითი ცნობიერება ეროვნული პარკის დაცვის ხელშეწყობის მიზნით. პროექტი 33 სკოლაში განხორციელდა.

რას აკეთებდა პროექტი:

საშუალო სკოლის მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების ხელშეწყობა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მართვისა და სწავლების პროცესების დახვეწა განათლების სამინისტროს რეფორმების შესაბამისად;

მოზარდებში ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომლებიც მათ ხელს შეუწყობს სათანადო წვლილი შეიტანონ საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაში და შეძლონ ჯანსაღი კონკურენციის გაწევა სამუშაო ბაზარზე.

სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბება, რომელიც წარმოადგენს სკოლის თვითმმართველობის უმაღლეს არჩევით ორგანოს.

სამოდულო სკოლებში სტუდენტური კლუბების შექმნა. თითოეულ სამოდულო სკოლაში მოეწყო კომპიუტერული ცენტრი და დამონტაჟდა მზის ენერჯის ბატარეები;

ცხრა საშუალო სკოლის 250 მასწავლებელმა განათლების სამინისტროს გეგმის მიხედვით გაიარა ტრენინგი აქტიური სწავლების მეთოდოლოგიაში. ტრენინგს ატარებდნენ კვალიფიციური ტრენერები, რომლებიც განათლების სამინისტრომ მოამზადა მსოფლიო ბანკის დაფინანსებულ საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროგრამის ფარგლებში.

მეექვსე და მეთერთმეტე კლასების ბიოლოგიის, ქიმიისა და გეოგრაფიის 100 მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი გარემოს დაცვის საკითხებში;

33 სკოლაში ჩამოყალიბდა ბუნების კლუბი, სადაც მოსწავლეები ჩაბმულნი იყვნენ ბუნების დაცვასთან დაკავშირებულ კლასგარეშე საქმიანობაში.

რაიონები: ახალციხე, ადიგენი და ბორჯომი

ბიუჯეტი: 149, 998 აშშ დოლარი

დონორი: კომპანია "ბი-პი" და მისი პარტნიორები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიები

ეს გვერდი მომზადდა კომპანია "BP"-სა და მისი პარტნიორების ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიების ფინანსური ხელშეწყობით. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ორგანიზაცია ქეას და არ არის "BP"-ს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიების ოფიციალური შეხედულებების ამსახველი.